საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №86
2021 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის სარგებლობაში არსებული სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხის დამტკიცების შესახებ

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის სარგებლობაში არსებული სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის თანდართული ნუსხა.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის სარგებლობაში არსებული სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხა

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) მეხანძრე-მაშველის სარგებლობაში არსებული სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხა (შემდგომ – სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხა) განსაზღვრავს იმ სახანძრო და საავარიო-სამაშველო/სამაშველო ავტომობილების, ტექნიკის, მოწყობილობების, ინსტრუმენტების, ეკიპირებისა და სხვა საშუალებების (შემდგომ – სპეციალური საშუალება) ჩამონათვალს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ხანძრის ჩაქრობისას ან/და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას.

2. სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხის დამტკიცების მიზანია სპეციალური საშუალებების ჩამონათვალის განსაზღვრით ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. სპეციალური საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამის დანაყოფში სპეციალური საშუალებების საჭირო რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე.

2. სპეციალური საშუალებების საჭირო რაოდენობას განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციების მართვის

სამსახურის უფროსი.

მუხლი 3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხა

1. სახანძრო და საავარიო-სამაშველო/სამაშველო ავტომობილებია:

ა) სახანძრო ავტოცისტერნა;

ბ) სახანძრო ავტოტუმბო;

გ) სახანძრო ავტოკიბე და ავტოამწე;

დ) სახანძრო სახელოების ავტომობილი;

ე) კავშირგაბმულობის ავტომობილი;

ვ) სახანძრო ავტოსატუმბი სადგური;

ზ) კვამლსაწინააღმდეგო სახანძრო ავტომობილი;

თ) სახანძრო მოტოტუმბო;

ი) საავარიო-სამაშველო/სამაშველო ავტომობილი.

2. მეხანძრე-მაშველის ეკიპირებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებია:

ა) სპეციალური დამცავი ტანსაცმელი;

ბ) მხედველობის და სასუნთქი ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მათი ექსპლუატაციისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარი;

გ) დიელექტრიკული ელექტროდამცავი საშუალება;

დ) ფოლადის მავთულის საჭრელი მაკრატელი;

ე) სახანძრო და საავარიო-სამაშველო/სამაშველო ავტომობილების დამიწების მოწყობილობა;

ვ) ერთჯერადი კომბინიზონი.

3. საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო სისტემებია:

ა) სტაციონარული რადიო სადგური;

ბ) საავტომობილო რადიო სადგური;

გ) პორტატული რადიო სადგური;

დ) „GPS თრექერი“;

ე) მობილური ტელეფონი („სმარტფონი“);

ვ) თანამგზავრული მობილური ტელეფონი;

ზ) მიწის ზედაპირიდან სხვადასხვა ფრენის სიმაღლის და პოტენციური ენერგიის მქონე უპილოტო საჰაერო ხომალდი (საფრენი აპარატი „დრონი“);

თ) ელექტრო გენერატორი.

4. სახანძრო ტექნიკური აღჭურვილობა და მოწყობილობებია:

ა) ჰაერმექანიკური ქაფის გენერატორი;

ბ) სხვადასხვა სახის სახანძრო ლულა;

გ) მაგისტრალური ქაფშემრევი;

დ) წყლის შემკრები;

ე) დამხშობი თავაკი;

ვ) ჰიდროელევატორი;

ზ) სხვადასხვა დიამეტრის სახანძრო სახელო და სახელოს თავაკი;

თ) შემწოვი სახელო;

ი) შემწოვი ბადე;

კ) სახანძრო სახელოს ბოგირი;

ლ) ცეცხლმაქრი;

მ) ჰიდრანტიდან წყლის ასაღები სვეტი და მოწყობილობა;

ნ) სამკაპი;

ო) ხანძრის ჩასაქრობი ზურგჩანთა;

პ) კვამლგამწოვი;

ჟ) სითბოს ფიქსირების ოპტიკურ-ელექტრონული ხელსაწყო „თბოვიზორი“.

5. საავარიო-სამაშველო/სამაშველო აღჭურვილობა, მოწყობილობები და ინსტრუმენტებია:

ა) სხვადასხვა დანიშნულების საავარიო-სამაშველო კიბე;

ბ) სამაშველო გასაბერი ბალიში;

გ) ძებნისათვის განკუთვნილი სპეციალური ხელსაწყო;

დ) სამაშველო იზოთერმული გადასაფარებელი;

ე) ხელის არამექანიზირებული და მექანიზირებული ინსტრუმენტები.

6. სამთო-სამაშველო ეკიპირება, აღჭურვილობა და მოწყობილობებია:

ა) სპეციალური სამთო ტანსაცმელი;

ბ) დასაშვებ-დამზღვევი და ასასვლელ-დამჭერი მოწყობილობები;

გ) სხვადასხვა სახის სამაშველო თოკი.

7. წყალზე და წყალქვეშა საძიებო-სამაშველო სამუშაოებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა და მოწყობილობებია:

ა) მცურავი საშუალება;

ბ) წყალქვეშ საძიებო სამუშაოებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა და მოწყობილობა ან/და სხვა საშუალებები, რომლებიც გამიზნულია მათი ფუნქციონირებისათვის.

8. ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე (შემდგომ - ქბრბ ინციდენტი) რეაგირების სპეციალური აღჭურვილობა და მოწყობილობებია:

ა) რადიაციის დეტექტირებისა და იდენტიფიკაციის სხვადასხვა ტიპის ხელსაწყო;

ბ) ქბრბ ინციდენტზე რეაგირების ინდივიდუალური დაცვის საშუალება (A, B, C);

გ) დეკონტამინაციის სპეციალური საშუალება;

დ) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაღვრაზე რეაგირების საშუალება.

9. სამედიცინო საშუალებები და მოწყობილობებია:

ა) პირველადი და გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ჩანთა;

ბ) სხვადასხვა ტიპის საკაცე;

გ) სხვადასხვა სახისა და ზომის ფიქსატორი.

10. ხანძრის ჩაქრობისას ან/და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მის სარგებლობაში არსებული სხვა სპეციალური საშუალებები, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ მუხლით.